საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

24 თებერვალს საბჭოთა ხალხმა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 39 (6600)

26 1980 წ. თებერვალი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოლიმპიადა დამთავრდა, ოლიმპიადა იწყება

კვირა საღამოს მოეწყო ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალი.

ოფიციალური ცერემონიის დაწყებამდე, ტრადიციისამებრ, ჯაიმართა ფიგურული სრიალის ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები, რომელშიც მონაწილეობდნენ ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოების მფლობელები.

ამერიკელი მაყურებლები აღტაცებით შეხვდნენ ოლიმპიური ჩემპიონების ნ. ლინიჩუკისა და გ. კარპონოსოვის, ი.როდნინასა და ა. ზაიცევის ბრწყინვალე გამოსვლებს, აგრეთვე ანეტ პიოტჩსა (გდრ) და ვერცხლის მედლის მფლობელ ლონდა ფრატიანს (აშშ). საჩვენებელი ასპარეზობის სხვა მონაწილეებთან შედარებით ისინი იძულებულნი იყვნენ რამდენიმეჯერ გამოსულიყვნენ სარბიელზე.

სოკ-ის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ ლეიკ-პლესიდის სტარტებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებაში. მან გამოთქვა რწმენა, რომ მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები ჩატარდება საერთაშორისო ატმოსფეროში ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებისა და იდეალების შესაბამისად.

ლეიკ-პლესიდის ყინულის სარბიელზე ოლიმპიური ჩვეულების თანახმად, ტრიბუნების წინ კოლონებად ჩაიარეს გუშინდელმა მეტოქეებმა — ამჯერად უკვე მეგობრებმა, სხვადასხვა ქვეყნის ნაკრები გუნდების წარმომადგენლებმა.

სოკ-ის პრეზიდენტმა ახალი წარმატებები უსურვა ოლიმპიელებს. მან XIII ზამთრის ოლიმპიური თამაშები დახურულად გამოაცხადა.

გაივლის რამდენიმე თვე და 19 ივლისს კვლავ აგიზგიზდება ოლიმპიური ცეცხლი. დაიწყება მოსკოვის ზაფხულის XXII ოლიმპიური თამაშები (საკდესი).

* * *

სურათზე: თამაშების დახურვის ცერემონიალზე.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.



XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

მარათონში

მოსკოველი სტუდენტი ნ. ზიმიატოვი ლეიკ-პლესიდში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჩავიდა და უკვე ასპარეზობის პირველი დღის დამლევს, როცა 30 კილომეტრზე რბენა მოიგო, სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა. შემდეგ მან ჩემპიონობა მოიპოვა 4X10 კილომეტრზე ესტაფეტაში. ბოლოს კი მოთხილამურე ვაჟთა უკანასკნელი შეჯიბრება — 50 კილომეტრზე რბენა მოიგო...

იოლად არც ეს უკანასკნელი გამარჯვება მოსულა. თავიდან ზიმიატოვის თანაგუნდელები დაწინაურდნენ — საველიევმა და ზავიალოვმა შესანიშნავად დაიწყეს: ლიდერობა ხელთ იგდო ზავიალოვმა, საველიევი მას 30 წამით ჩამორჩებოდა. ლიდერთა ხუთეულში იყვნენ, აგრეთვე, ფინელი ა. აუტიო, ზიმიატოვი და ბელიაევი.

25 კილომეტრის მერე რბოლის სათავეში აღმოჩნდა ზავიალოვი. ზიმიატოვმა II ადგილზე გადაინაცვლა. იგი ლიდერებთან მხოლოდ 3 წამს აგებდა. როცა ფინიშამდე 7,5 კილომეტრი იყო, როლები შეიცვალა — ზიმიატოვი თანაგუნდელს წუთნახევრით ასწრებდა, ხოლო ფინელი ი. მიეტო ზავიალოვს 40 წამით ჩამორჩებოდა. როგორც ჩანს, ზავიალოვს ალბა აღარ ეყო ტემპი ბოლომდე შეენარჩუნებინა და საბოლოოდ იგი III ადგილს დასჯერდა.

ჩემპიონი გახდა **ზიმიატოვი** — 2:27.24,6. ვერცხლის მედალს დაეუფლა ფინელი **ი. მიეტო** — 2:30.20,52. ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე, ს. საველიევი — 2:30.53,08 და ე. ბელიაევი — 2:31.21,19.

* * *

სურათებზე: სათხილამურო მარათონში გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენი ნ. ზიმიატოვი (მარცხნივ) და ვერცხლის პრიზიორი ფინელი ი. მიეტო კმაყოფილნი არიან მათი ამდღევანდელი მონაპოვრით; 50 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი ა. ზავიალოვი.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.



საგრძნობი პროგრესი

საბჭოთა სამთო მოთხილამურეები სულ ორიოდე წელია ჩაებნენ მსოფლიო თასების გათამაშებაში. ამ სკოლას მათთვის უქმად არ ჩაუვლია —წლევანდელი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ოსტატებმაც თქვეს თავიანთი სიტყვა. თუ აქამდე ისინი მუდამ მეორე-მესამე ათეულში და უფრო უკან იმკვიდრებდნენ ადგილებს, XIII თამაშებში საგრძნობლად დაწინაურდნენ. ამის მაგალითია მოსკოველი სტუდენტის ნ. ანდრეევას წარმატება სპეციალურ სლალომში. მანამდე ვ. ციგანოვს გიგანტურ სლალომში საპრიზო ადგილი უბედობამ უკანასკნელ მეტრებზე გამოაცალა ხელიდან, მანვე სწრაფდაშვებაში VIII ადგილი მოიპოვა. გიგანტურ სლალომში ა. ჟიროვი IX იყო.

და აი, სამთო მოთხილამურეთა შეჯიბრების უკანასკნელ სახეობაში, ქალების სპეციალურ სლალომში, რომელიც უაიტფეის მთაზე მოეწყო, ანდრეევამ ორი დაშვების ჯამში 1.29,20 აჩვენა და VI ადგილი დაიკავა. მას იტალიელმა კ. ჯორდანიმ სულ რაღაც 0,08 წამით აჯობა.

რაც შეეხება პრიზიორებს, 461 და 465-მეტრიან ტრასაზე (52 და 53 კარი) 49 მონაწილეს შორის გაიმარჯვა **ბ. ვენცელმა** (ლიხტენშტეინი) — 1.25,09. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ **კ. კინსჰოფერი** (გფრ) — 1. 26,5 და **ე. ჰესი** (შვეიცარია) — 1.27,89.

20 წლის შემდეგ

კვირას ყურადღების ცენტრში ჰოკეისტთა ტურნირი იყო — ბოლო ორ შეხვედრას უნდა გაერკვია მედლების მფლობელთა ვინაობა. თამაშობდნენ აშშ — ფინეთი და სსრკ — შვეცია.

გამარჯვების შემთხვევაში ფინელები ვერცხლის მედლებს იგებდნენ, ხოლო ამერიკელები 20-წლიანი შესვენების (სკვო-ველის ოლიმპიადის) მერე კვლავ ეუფლებოდნენ უმაღლეს ოლიმპიურ ჯილდოს.

ფინეთისა და აშშ-ს გუნდების ორთაბრძოლა უაღრესად საინტერესო და უშეღავათო გამოდგა. ორი დღით ადრე, საბჭოთა ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ, ამერიკელები მოედანზე ამაღლებული განწყობით გამოვიდნენ, მაჩიც თავბრუდამხვევი შეტევით დაიწყეს, მაგრამ პირველ წარმატებას სწორედ ფინელებმა მიაღწიეს და პერიოდიც მოიგეს — 1:0.

მეორე პერიოდის დასაწყისშივე მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ შესვენებამდე ფინელებმა კვლავ შეძლეს დაწინაურება — 2:1.

გადამწყვეტ პერიოდში, იმის მიუხედავად, რომ ამერიკელები სამჯერ უმცირესობაში თამაშობდნენ, მათ შეძლეს მეტოქის კარში 3 უპასუხო შაიბის მოთავსება და გამარჯვება — 4:2. ამ შედეგმა საბოლოოდ გაარკვია ჩემპიონისა და მეოთხე ადგილის ბედი: მოგებულებმა „ოქრო“ მოიპოვეს, წაგებულები IV ადგილზე დარჩნენ.

II და III ადგილების ბედი უნდა გაერკვია შვეცია—საბჭოთა ნაკრები გუნდების ორთაბრძოლას. საბჭოთა სპორტსმენებმა იოლად დაამარცხეს მეტოქე—9:2.

პირველი და მესამე

თამაშების ერთ-ერთი ბოლო სახეობა იყო ოთხადგილიანი ბობსლეებით დაშვება. ამ სახეობაში ოქროს მაძიებლები ორ დღეს ასპარეზობდნენ და ორივეჯერ 2-2 ცდას ასრულებდნენ. ყველაზე უკეთ გამოვიდნენ გდრ-ის სპორტსმენები: მათ ოთხი წლის წინანდელი წარმატება გაიმეორეს — ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გდრ-ის პირველმა გუნდმა ოთხი ცდის ჯამში 3.59,92 აჩვენა. მან თითქმის წამით ჩამოიტოვა შვეიცარიის კვარტეტი. გდრ-ის მეორე ეკიპაჟმა III ადგილი დაიკავა.

პრეტენდენტის საგზურისთვის

1973 წლის სექტემბერში საზონთაშორისო ტურნირის 20 მოწაწილე შეიკრიბა ესპანეთის კუნძულ მონორკაზე. პრეტენდენტთა მატჩების სამი საგზურისთვის მებრძოლთა შორის იყვნენ საბჭოელ მოჭადრაკეებიც მ. ლიტინსკაია, ნ. ალექსანდრია, ვ. კოზლოვსკაია, ტ. ზატულოვსკაია, ნ. კონოპლიოვა და ი. ლევიტინი.

პაექრობა უკიდურესობამდე დაძაბულად მიმდინარეობდა და მხოლოდ ერთი პრეტენდენტი გამოვლინდა — ვ. კოზლოვსკაია, რომელმაც 13,5 ქულით I ადგილი დაიკავა. ორი საგზურისთვის საჭირო შეიქნა დამატებითი ოთხწრიანი მატჩ-ტურნირის მოწყობა ალექსანდრიას, ლიტინსკაიას, ლევიტინასა და კონოპლიოვას შორის, რადგან მათ II-V ადგილები გაიყვეს (თითოეულმა 13 ქულა მოაგროვა).

1974 წლის თებერვალში პრეტენდენტობის მაძიებლებმა ბრძოლა კისლოვოდსკში გააჩაღეს. თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ქართველმა მოჭადრაკემ. ნანამ პირველ წრეში სამივე მეტოქე დაამარცხა. მერეც მოწოდების სიმაღლეზე იყო და ყველას მოუგო მატჩი: ლევიტინას—ანგარიშით 2,5:1,5, ლიტინსკაიას, კონოპლიოვას — ერთნაირად 3:1. მეორე საგზურს ლევიტინა დაეუფლა.

პრეტენდენტთა მატჩების სტარტის წინ ცნობილი გახდა, რომ ა. კუშნირის მაგიერ ითამაშებს კისლოვოდსკის მატჩ-ტურნირის მესამე პრიზიორი ლიტინსკაია. წილისყრამ მეტოქეები ასე დააწყვილა: ალექსანდრია—ლიტინსკაია, კოზლოვსკაია — ლევიტინა.

1974 წლის მაისში ალექსანდრია და ლიტინსკაია სათამაშოდ რიგაში ჩავიდნენ. მათ 10 პარტია უნდა გაემართათ.

ნანამ ჯიქურ შეუტია მეტოქეს და პირველი ორი პარტია მოიგო, მაგრამ მერე მესამე და მეოთხე პარტიებში დამარცხდა. მომდევნო სამ პარტიაში ისეთი ქართული ხასიათი დააყენა, რომ ლიტინსკაიას გვირგვინოსანი ამაოდ ეძებდა მყუდრო თავშესაფარს. მერვე პარტია ყაიმით დასრულდა და ალექსანდრიამ ვადამდე მოაგროვა სანუკვარი 5,5 ქულა. იგი ფინალში გავიდა.

უშეღავათო თამაში გაჩაღდა კოზლოვსკაია — ლევიტინას შორის. ძირითადი მატჩი ყაიმით დამთავრდა (5:5) და საჭირო გახდა ორი დამატებითი პარტიის თამაში. ამ პარტიებიდან პირველი ყაიმით დასრულდა, მეორე ლევიტინამ მოიგო და საბოლოოდ გაიმარჯვა — 6,5:5,5.

ვიდრე ალექსანდრია—ლევიტინას ორთაბრძოლა გაიმართებოდა, ორივე პრეტენდენტმა მონაწილეობა მიიღო ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში (1974 წ. ოქტომბერი, კოლუმბია) საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი თავკაცობდა. გუნდმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1975 წლის იანვარს, მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურმა საჭადრაკო კლუბმა უმასპინძლა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩს. მეტოქეებს 12 პარტიაში უნდა გაერკვიათ ურთიერთობა.

პირველი სამი პარტია ყაიმით დამთავრდა, თუმცა ნანას უპირატესობა იგრძნობოდა. მეოთხე პარტიაში რისკიანად ითამაშა და დამარცხდა, მაგრამ ამან როდი ჩააგდო იგი სასოწარკვეთილებაში — მეხუთე შეხვედრაში გაიმარჯვა. ლევიტინა ვალში არ დარჩა, კვლავ დაწინაურდა—3,5:2,5. ალექსანდრიამ ზედიზედ მეშვიდე და მერვე პარტიები მოიგო და თავად გაიჭრა წინ, მაგრამ ლევიტინამ შეძლო მეცხრე პარტიის მოგება.

ანგარიში გათანაბრდა (4,5:4,5). მეტოქენი თითქმის დაცხრნენ, უმატეს სიფხიზლეს, წინდახედულებას და დასკვნითს სამ პარტიაში ყაიმს დასჯერდნენ.

მატჩი უკიდურესობამდე დაიძაბა, საჭირო შეიქნა დამატებითი შეხვედრების ჩატარება პირველ მოგებამდე. ეს ამბავი კიდევ უფრო ამძაფრებდა არა მარტო ყოველი პარტიის, არამედ ყოველი სვლის მნიშვნელობას. მეტოქენი ფრთხილობდნენ და ზედიზედ ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა. მეჩვიდმეტე პარტიაში ნანამ შეძლო ინიციატივის დაუფლებოდა და გაიმარჯვა — 9:8.

მაშინვე პრესაში აღინიშნა, რომ ეს მატჩი იყო ყველაზე ხანგრძლივი ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების ისტორიაში. საქმე ისაა, რომ თვით მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მატჩში მხოლოდ თექვსმეტ პარტიას თამაშობენ.

1975 წლის შემოდგომაზე ბიჭვინთასა და თბილისში მოეწყო ნ. გაფრინდაშვილი—ნ. ალექსანდრიას მატჩი. დაძაბულ ჭიდილში მსოფლიო ჩემპიონმა დამაჯერებლად ითამაშა და ტიტული შეინარჩუნა.

ამ დროს ფიდე-ს მესვეურნი უკვე ფიქრობდნენ ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემის სრულყოფისათვის, რომ დაეკმაყოფილებინათ დედოფლის ტახტის ყველა უძლიერესი მაძიებლის გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი. მზადდებოდა სათანადო დადგენილება.

თ. გიორგაძე.

(დასასრული იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 34,36.

ვინ შეხვდება მაია ჩიბურდანიძეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის მრავალჭიდოში

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე

ბაკურიანში გაიმართა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მშთ ზამთრის მრავალჭიდში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. მონაწილეობდა 12 კოლექტივი. პირველობისთვის მებრძოლთა შორის იყვნენ სპორტკლუბები „მეგობრობა“, „განთიადი“, „ფეიქარი“, „დილა“, „უშბა“, „ივერია“ (2 გუნდი), „ფოლადი“, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი“, ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატი (2 გუნდი) და ბაკურიანის სატყეო მეურნეობის ნაკრები.

პროგრამაში იყო თხილამურებით რბენა, 50 მეტრზე ტყვიის სროლა, ღერძზე და ტანვარჯიშულ სკამზე აზიდვა, ესტაფეტა და ხელუმშმარის ტყორცნა.

სათხილამურო რბოლებში ყველას აჯობეს ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატის მუშებმა, მათვე მოიგეს ესტაფეტა. ტყვიის სროლაში პირველობა მოიგო რუსთავის სპორტკლუბმა „ფოლადმა“. ტანვარჯიშულ სახეობებში—სპორტკლუბმა „განთიადმა“.

საერთო გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრება ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სპორტული კლუბები „ფოლადი“ და „მეგობრობა“.

პირად პირველობაში IV საფეხურის - პირველი ასაკობრივი ჯგუფის ნიშნოსანთა შორის ქალებში იმარჯვა გ. სუმინოვამ („ფოლადი“), ვაჟებში — ნ. დეკანოსიძემ (ბათუმი). IV საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში უძლიერესნი იყვნენ: ლ. სკოტარენკო და ნ. ალახვერდიევი, V საფეხურის ნიშნოსანებში ყველას აჯობეს: კ. კეხამ (ყველა — „ფოლადი“), ვაჟებში — კ. აკოფოვმა („მეგობრობა“).

მ. კოდუა,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

დიდი სპარტაკიადის შემდეგ... კვლავ სპარტაკიადები

გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი სამთო-სათხილამურო სპორტში, სპორტის ოსტატი ლეონიდ გაგა

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურები ბაკურიანში საკმაოდ საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, განსაკუთრებით — უკანასკნელი სტარტები „ლელოს“ პრიზებზე. თუმცა მონაწილეთა შორის ამჯერად არ იყვნენ ეგრეთწოდებული პირველი ნომრები — ვლადიმერ მაკეევი, ვალერი ციგანოვი, ალექსანდრე ყორაოვი, ვლადიმერ ანდრეევი და ნატალია პატრაკეევა-ანდრეევა, რომლებიც საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდნენ ლეიპ-ალეკიდში.

სათხილამურო ტრასების სხვა აღიარებულ ოსტატებთან ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის თავისთავად საპატიო იყო. მით უფრო. სასიხარულოა მერი კოზანაშვილისა და გია დიაკონაშვილის წარმატება, რომლებმაც ამ შეჯიბრებაზე, როგორც ცნობილია, შესაბამისად სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივები შეასრულეს. უკანასკნელ წლებში მ. კოზანაშვილი თანაბრად გამოდის. მომდინარე სეზონში მან ორჯერ გაიმარჯვა სოფლის სპორტსაზოგადოებათა საკავშირო პირველობაზე კარპატში, ბაკურიანში კი (სსრ კავშირის ჩემპიონატზე) გიგანტური სლალომის ტრასებზე მან IV, IX და X შედეგები აჩვენა.

რაც შეეხება 16 წლის გია დიაკონაშვილს, ვფიქრობ, იგი დღეს ერთ-ერთი პერსპექტიული მოთხილამურეა რესპუბლიკაში. გია განსაკუთრებით კარგად გამოდის სპეციალურ სლალომში, რომელშიც ზშირად უძლიერესებსაც არ უდებს ტოლს. ასე იყო „ლელოს“ პრიზების გათამაშების დროსაც.

რაკი სიტყვა ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენებზე ჩამოვარდა, დავასახელებ, აგრეთვე, 14 წლის მოთხილამურეებს სერგო ბანდურს, გია ორჯონიკიძეს, ნუცა ალექსი-მესხიშვილს. მაგრამ მათ შემდგომ დაოსტატებას კიდევ ბევრი შრომა სჭირდება — უნდა გაიზარდოს ვარჯიშთა პერიოდულობა და ინტენსიურობა, მეტი იმუშაონ ტექნიკის ცალკეულ ელემენტებზე.

დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ კიდევ ერთ ჯგუფს, უფრო ნორჩებს, 9-10 წლის მოთხილამურეებს, გელა კოზანაშვილს, ლევან აბრამიშვილს, დათო ოგანეზოვს, ლადო ანთაძეს, რომლებმაც კარგად გაართვეს თავი ამ შეჯიბრების რთულ ტრასებს. ჩანს, თხილამურების ტრფიალთან ერთად მათ მშობლებისგან სპორტისადმი დიდი სიყვარულიც შეუსისხლხორცებიათ.

ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ დღეს ჩვენს წამყვან სპორტსმენებს უფრო დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ. რატომ ვერ ხვდებიან ისინი საპრიზო ადგილებზე?

უკვე კარგა ხანია რესპუბლიკაში აღარ გვყავს სამთო-სათხილამურო სპორტის ნამდვილი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ლიანა გოგოლაძე და იბრაგიმ ჯანგობეგოვი, გერა აბრამიშვილი, სოსო ხასაიდაშვილი, გიორგი ჯიჭოვი. ალბათ, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი შეჯიბრებების არასაკმაო რაოდენობაში უნდა ვეძებოთ. მუდამ როდი გვაქვს დღეევანდელი სპორტისათვის ესოდენ საჭირო მაღალხარისხოვანი სპორტული ინვენტარი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ეს საკითხი მნიშვნელოვნად გამოსწორდა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა სპორტსმენმა მთელი დატვირთვით ივარჯიშოს, განსაკუთრებით ზამთრის პირსა და ზაფხულის პერიოდში, რომელიც ძირითადად ფიზიკური მომზადებისთვისაა განკუთვნილი.

სათხილამურო სპორტში მაღალ შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს ისიც, თუ რომელ ჯგუფში (პირველი თუ უკანასკნელი ნომრებით) გამოდიან შეჯიბრების მონაწილენი. ჩვენი მოთხილამურენი მეტწილად ბოლო ჯგუფებში (90-ე, მე-100 ნომრები) ასპარეზობდნენ, როდესაც ტრასა საგრძნობლად „დამძიმებულია“. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნოს ფაქტი, რომ გაისად წამყვანი ქართველი მოთხილამურენი მერი კოზანაშვილი, იგორ გავა, გია დიაკონაშვილი, ვიქტორ და ვასილ სანაკოევები გაცილებით უფრო ადრე გამოვლენ ტრასებზე, ვიდრე განვლილ ჩემპიონატში, დაიმსახურეს ამის უფლება.

დიდი ასპარეზობა ბაკურიანში დამთავრდა, მაგრამ სეზონი გრძელდება. ამჟამად აქ მიმდინარეობს საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადა, რომელსაც მოჰყვება რესპუბლიკის თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. შემდეგ, 2-5 მარტს, გაიმართება საქართველოს პირველობა ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. 7-15 მარტს კიროვსკში ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონებში გამარჯვებულთა ფინალი, ხოლო 25-31 მარტს კრასნოიარსკსა და დუშანბეში — საკავშირო ახალგაზრდული პირველობა.

ვიმედოვნებ, რომ ეს სტატიებიც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას.

* * *

სურათებზე: „ლელოს“ პრიზების გათამაშებაში (სამჭიდში) გამარჯვებულნი ნ. პერჩატკინა (მარცხნივ) და ი. იუდინი; ასპარეზობის დღეებში გამოსულ კედლის გაზეთს ათვალიერებენ ტურნირის მონაწილენი.

ნ. ქარელიხ ფოტოები.

● ძიუდო

ლიდერთა გარეშე

გორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საჭიდაო დარბაზში გაიმართა საქართველოს პირველობა ძიუდოში სპორტსაზოგადოებებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო „დინამოს“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, ასკ-ს, „ლოკომოტივის“, „კოლმეურნეს“, „ვოდნიკის“, „განთიადისა“ და „შრომითი რეზერვების“ 200-მდე სპორტსმენმა, რომელთაგან ბევრი დებიუტანტი იყო. ასპარეზობდნენ ცნობილი მოჭიდავეებიც, მაგრამ სარბიელზე არ გამოსულან უძლიერესნი, რამაც თავისი დაღი დაასვა ასპარეზობას. ნებისმიერ ათლეტს შეეძლო I ადგილზე გასვლა და ყველა მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ, მით უმეტეს, პრიზიორებს სპორტის ოსტატობის წოდებას ანიჭებდნენ.

მწვრთნელმა ანზორ მარტყოფლიშვილმა აღვიხსნა, რომ სპორტსმენთა ძირითადი შემადგენლობა ახლა შეკრებას გადის, იმზადება საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც ზაპოროჟიეში გაიმართება (12-19 მარტს). ამიტომ არ მონაწილეობდნენ გორის შეჯიბრებაში ხუბულური, ლოლაშვილი, დამადოევი, ხარშილაძე, ბოდაველი, ალბორაშვილი, ხაბარელი, ჯარიაფლი, ნამგალაური, ზურაბიანი, მარგიანი.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები წონითი კატეგორიების მიხედვით...

60 კგ. 1. ბ. ზურაბიშვილი (ასკ), 2. ვ. ბიბილაშვილი („ბურევესტნიკი“), 3. შ. ტალახაძე (ასკ) და დ. თევდორაძე („დინამო“).

65 კგ. 1. გ. ნაცარაშვილი, 2. რ. ჩიკაძე (ორივე — „დინამო“), 3. უ. ნოჭარაშვილი („სპარტაკი“) და ნ. ბოლოთაშვილი („ბურევესტნიკი“).

71 კგ. 1. ბ. წოწკოლაური, 2. გ. ფანუკიშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“), 3. ე. მსხალაძე („განთიადი“) და ტ. ბაშარული („ბურევესტნიკი“).

78 კგ. 1. გ. გუგავა, 2. ა. წიკლაური (ორივე — ასკ), 3. გ. თიელიძე და ა. ხუმარაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“);

86 კგ. 1. დ. დავითაშვილი (ასკ), 2. გ. ბაღაშვილი, 3. თ. გუცაშვილი (ორივე — „განთიადი“) და დ. მაღალთაძე (ასკ).

95 კგ. 1. ტ. მუთოშვილი, 2. დ. მალალაშვილი, 3. პ. ჯავახიშვილი და ი. ღვინაძე (ყველა — ასკ);

მძიმე წონა. 1. დ. ხუსკივაძე („განთიადი“), 2. ო. შერეზადიშვილი („კოლმეურნე“), 3. გ. ლომიძე („შრომითი რეზერვები“) და ს. უგრეხელიძე („დინამო“).

აბსოლუტური. 1. თ. დავითაშვილი (ასკ), 2. გ. კუძიევი („კოლმეურნე“), 3. ბ. ქუთათელაძე („სპარტაკი“) და ო. ბოლოთაევი („განთიადი“).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ ასკ-ს წარმომადგენლები, II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ ათლეტებმა.

ა. ზენკო.

მიზანი — საპრიზო სამეული

„ლელოს“ ინტერვიუ

27 თებერვალს თბილისში სტარტს აიღებს სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრები. ამასთან დაკავშირებით ჩვენი „კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელებს, მოთამაშეებს, ექიმს...

⊙ ჩვენი მკითხველი ინფორმირებულია პირველი წრის პირველ ტურში თბილისის „დინამოსა“ და მისი მეტოქეების შეხვედრებზე, მაგრამ ბევრი რამ იმ მოკლე ცნობებში არ იყო ნათქვამი— გულშემატკივრებმა, მაგალითად არც ის იციან, თუ როგორი შემადგენლობით თამაშობდა ჩვენი გუნდი.

მ. ქართველიშვილი (საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი წყალბურთში და წყალში ხტომაში):

— თბილისელთა შემადგენლობით დავიწყოთ. დინამოელთა სახელს იცავდნენ მეკარეები მიხეილ გიორგაძე და ტუკვაძე; „მინდვრის“ მოთამაშეები — კურტანიძე, დოლიძე, არუთიუნოვი, ზუმბულიძე, რურუა, ხეცურიანი, გვახარია, კუტივაძე, კოღუაშვილი და გუნდის კაპიტანი ისელიძე. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო არ თამაშობდა ქოიავა. გუნდში „სათადარიგოდ“ გვყავდა ალეკო გიორგაძე. თბილისელებმა, როგორც იცით, 3 თამაში მოიგეს, 1 წააგეს, ხოლო შეხვედრა კიეველ თანაკლუბელებთან ფრედ — 8:8 ითამაშეს. საინტერესოა, რომ ამ მატჩში, როცა თამაშის დამთავრებამდე 3-4 წამიღა რჩებოდა, რურუა მეტოქეთა მეკარის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ბურთი ვერ გაიტანა.

ვ. სანაძე (გუნდის უფროსი მწვრთნელი):

— როგორც ჩანს, რურუას ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება. ვარჯიშის დროს, მაგალითად, ასეთ სიტუაციაში ბურთი ყოველთვის გაიქვს. შეჯიბრებაზე კი ზოგჯერ, ეტყობა, ნერვები ღალატობს.

⊙ შარშან მიხეილ გიორგაძეს ვკითხე, თქვენი, როგორც მეკარის ნაკლი რა არის-მეთქი. მიპასუხა, თამაშის დროს, როცა ჩემს კარს თითქოს ხიფათი არ ემუქრება, „ჩათვლემა“ ვიცი. ახლა?

სანაძე:

— რომ ვთქვა, მიშა ამ ნაკლის გამოსწორებისთვის არ ზრუნავს-მეთქი, უსამართლობა იქნება, მაგრამ მსგავსი შეცდომა მოსკოველ თანაკლუბელებთანაც გაიმეორა. ეს შეხვედრა, როგორც ცნობილია, მინიმალური ანგარიშით — 8:7 წავაგეთ. ამ თამაშის მოგება თუ არა, ფრედ დამთავრება შეიძლებოდა, ერთ მომენტში მიხეილს წამით რომ არ „ჩაეთვლემა“. ეს მეტოქეთა გუნდის მოთამაშემ — სულაკაძემ შეამჩნია და ცენტრიდან გაიტანა ბურთი. თუმცა, ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ მიხეილმა საერთო ჯამში არადამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა. პირიქით, შესანიშნავად ითამაშა, მაგალითად, ტაშკენტის „მეხნატთან“ და მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბთან. მისი თამაშით საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბორის პოპოვი კმაყოფილია და მიხეილი კვლავ რჩება ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატად. აქვე უნდა გავიხსენო, რომ საკავშირო სპარტაკიადაზე პოპოვის მოწონება კუტივაძემაც დაიმსახურა. იგი სპარტაკიადაზე მართლაც ბრწყინვალე იყო, ახლა კი მინსკში ისე ვეღარ გამოვიდა. თუ თბილისის ტურში კუტივაძე ისე ითამაშებს როგორც სპარტაკიადაზე, ოლიმპიურ გუნდში მოხვდებაო, მითხრა პოპოვმა.

ქართველიშვილი:

— მეც მინდა გავიხსენო პოპოვის სიტყვები, რაც მინსკის ტურის შემდეგ ისელიძის მისამართით თქვა: „თქვენ, გუნდის კაპიტანი სტაბილურად კარგ თამაშს აჩვენებს. მას ყველა მონაცემი აქვს, რომ ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში იყოს“.

⊙ დინამოელთა კიდევ ორი წევრი — ტუკვაძე და გვახარია ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. გამოდის, რომ თითქმის მთელი გუნდი — 5 მოთამაშე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრების წევრი ან წევრობის კანდიდატია. ასეთ გუნდს კი საკავშირო ჩემპიონატის მედლების მოპოვება უნდა ხელეწიფებოდეს. ეგეც რომ არ იყოს, გულშემატკივრებს საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედლებიც ამის იმედს აძლევს...

ისელიძე (გუნდის კაპიტანი).

— რა თქმა უნდა, საკავშირო ჩემპიონატში მედლების მოპოვებას ქართული წყალბურთის ტრადიციებიც გვავალდებულებს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენი მთავარი მიზანი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა იყო. შარშან VI ადგილი დავიკავეთ. ახლა კი ბრინჯაოზე ვოცნებობთ. ვფიქრობ, მედლების მოპოვების შესაძლებლობები გვაქვს. ეს საკითხი უკვე მომწიფდა. ბიჭებიც მონდომებულნი არიან. სხვა გუნდებს, ვფიქრობ, არც ცურვის სისწრაფით ჩამოვრჩებით, არც ტექნიკით...

ქართველიშვილი:

— ამბობენ, სპორტსმენებს შინ საკუთარი კედლებიც ეხმარებაო. თქმა არ უნდა, ამაში ჭეშმარიტების გარკვეული მარცვალია, მაგრამ მხოლოდ საკუთარი კედლების იმედზე არ უნდა დავრჩეთ. მინსკში გამართულმა შეხვედრებმა ჩვენი გუნდის დადებით მხარეებთან ერთად ზოგიერთი ჩრდილოვანი ნაწილიც გამოამჟღავნა. ეს თვითონ მოთამაშეებმაც კარგად იციან და მწვრთნელებმაც. იმედია, ისინი ამ ნაკლს დაძლევენ. თბილისში კი ცხარე ბრძოლებია მოსალოდნელი. აქ, საბჭოთა წყალბურთის ისტორიაში პირველად, უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდი ჩამოვა. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის წყალბურთი მთელი თავისი სახით წარმოგვიდგება. ყველა მათგანთან შეხვედრა ძალების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს. მოსკოვის დინამოელები, რომლებიც ქულათა მაქსიმუმით (10) სატურნირო ცხრილის სათავეში არიან, ბუნებრივია, მონაპოვრის შენარჩუნებასა და განმტკიცებას შეეცდებიან. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბისა და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდებს 8-8 ქულა აქვთ. პირველი გუნდი უთუოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ჩვენ 7 ქულა გვაქვს. ნებისმიერი გუნდისთვის ძალზე სახიფათო მეტოქე იქნება შარშანდელი ჩემპიონი — მოსკოვის უნივერსიტეტელთა ნაკრები. მათ სტარტზე ძალზე ბევრი დაკარგეს — მხოლოდ 3 ქულა მოაგროვეს და ამიტომაც თავდაუზოგავად იბრძოლებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასე რომ, ვინ მედლებზე ოცნებობს, ვინ ექვსეულში მოხვედრაზე...

⊙ სპორტსმენები და მათი მწვრთნელები ზოგჯერ უკმაყოფილონი არიან მსაჯობით. ამ მხრივ მინსკში როგორღა იყო საქმე?

ქართველიშვილი:

— მსაჯობა უმაღლეს დონეზე იყო. არბიტრების მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს. აღსანიშნავია, რომ მინსკელებმა შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწიეს. საუკეთესო სასტუმროში დაგვაბინავეს, კარგი პირობები შეგვიქმნეს დასვენებისთვის. ვეცდებით, ჩვენც ასეთივე მასპინძლობა გამოვიჩინოთ.

⊙ და კიდევ ერთი — ზემოთ ქოიავას ავადმყოფობა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, ახლა თუ შეძლებს თამაშს და საერთოდ, როგორი პირობები გაქვთ ვარჯიშისთვის?

დ. პეტრიაშვილი (გუნდის ექიმი):

— საეჭვოა, რომ ქოიავა მანამდე მწყობრში ჩადგეს. სამწუხაროდ, ახლახან ავად გახდნენ მეკარეები — მიხეილ გიორგაძე და ტუკვაძე, ვფიქრობ, ისინი შეჯიბრებამდე გამოჯანმრთელდებიან და სარბიელზეც ვიხილავთ. დანარჩენები თავს კარგად გრძნობენ.

ჯ. წიკლაური (გუნდის მწვრთნელი):

— ვარჯიშის პირობები კარგი გვაქვს. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსმა დიდი შეღავათი გაგვიწია — საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზი განტვირთა. ვაკეში ახლა დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ და ხელს არავინ გვიშლის.

საუბარი ჩაიწერა
ა. გურასაშვილმა.

* * *

სურათებზე: გ. დოლიძე კმაყოფილია იმდღევანდელი ვარჯიშით; მწვრთნელები ვ. სანაძე (წინა პლანზე) და ჯ. წიკლაური ესაუბრებიან გუნდის კაპიტანს ვ. ისელიძეს; ექიმი დ. პეტრიაშვილი ვარჯიშის დაწყებამდე წნევას უსინჯავს ნ. კურტანიძეს.

ავტორის ფოტოები.



ქალთა დღეს ეძღვნება

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი აწყობს ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილ საქალაქო სპარტაკიადას თბილისის უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოთა სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივების გუნდების მონაწილეობით. სპარტაკიადის პროგრამაშია: უმაღლესი სასწავლებლებისთვის—10 სახეობა, ხოლო საწარმოთა სპორტკლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივებისათვის — 7 სახეობა. შედეგები 8 მარტისთვის შეჯამდება.

უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში უკვე დამთავრდა შეხვედრები მშვილდოსნობასა და სპორტულ ტანვარჯიშში. **კალათბურთელთა** ტურნირი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზში ეწყობა და 1 მარტამდე გაგრძელდება (ისინი ბრძოლას დღეს დაიწყებენ). **ფრენბურთელები** 28 თებერვლიდან 3 მარტამდე გაარკვევენ ურთიერთობას თბილისის უნივერსიტეტის სპორტდარბაზში. **ხელბურთელები** სპორტის სასახლეში ითამაშებენ 27, 28, 29 თებერვალს. **ფარიკაობასა** და **ცურვაში** საასპარეზოდ გამოიფიცება [illegible] დღე (1 მარტი). [illegible] მისად საქართველოს სპორტკომიტეტის ფარიკაობის დარბაზსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. **მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა** ტურნირს (1 მარტს) უმასპინძლებს ლენინის სახელობის სპორტდარბაზი, **მაგიდის ჩოგბურთს** (3-4 მარტს)—სამედიცინო ინსტიტუტის დარბაზი, ხოლო **მძლეოსნობა** „განთიადის“ სასახლეში ჩატარდება 6 მარტს.

რაც შეეხება სპორტკლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებების კალენდარს, იგი ასეთია:

კალათბურთი. 26-27 თებერვალი. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა. **ფრენბურთი.** 28 თებერვალი — 2 მარტი. (იქვე). **ხელბურთი.** 27-29 თებერვალი. სპორტის სასახლე. **ცურვა.** 1 მარტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზი. **ტყვიის სროლა.** 1 მარტი. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. **მაგიდის ჩოგბურთი.** 3-4 მარტი. სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზი. **მძლეოსნობა.** 6 მარტი. „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლე.

● **ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ**

ᲝᲠᲜᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 25 თებერვალი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ სამთო ტექნიკუმში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის მასობრივი ტურნირი, რომელშიც 70 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

დასკვნითს, XIII ტურში დ. გურგენიძე (საგარეჯო) ყაიმზე შეუთანხმდა გ. გიორგაძეს (ქუთაისი), ი. სიფრაშვილი (სიღნაღი) — ნ. ლობჟანიძეს (წითელი წყაროო). კ. შავგულიძემ (ქუთაისი) მოუგო რ. კაპანაძეს (თბილისი), მ. არჩვაძემ (სამტრედია) — ოსტატ ჯ. ბერაძეს (წყალტუბო) და ზ. ლომინაძემ (ქუთაისი)—რ. ხოჰავას (აფხაზეთი).

ამრიგად, I-II ადგილები გაიყვეს ცნობილმა ეტიუდისტმა, ოსტატმა კომპოზიციაში დ. გურგენიძემ და ქუთაისის ჩემპიონობზ, ჭაბუკმა მოჭადრაკემ კ. შავგულიძემ — 10-10 ქულა. მაგრამ გურგენიძეს კოეფიციენტთა ცხრილით ოდნავ უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა და I ადგილი და უმაღლესი ლიგის საგზური მას მიეკუთვნა. შავგულიძემ და III ადგილზე გამოსულმა ჭიპაშვილმა (9,5 ქულა) პირველი ლიგის საგზურები მიიღეს.

IV-VIII ადგილები გაიყვეს ჯ. ბერაძემ, ი. სიფრაშვილმა, მ. არჩვაძემ, ზ. ლომინაძემ, ტ. მეტრეველმა — 9-9, IX-X— ადგილები — გ. გიორგაძემ, ბ. ხეცურიანმა (თბილისი) — 8,5-8,5.

ზ. ᲑᲣᲠᲙᲐᲫᲔ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● **ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ**

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚ ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატის „ოქროს“ ლაურეატი გახდა ცსკა — 19 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: „ავტომობილისტი“ — 16, „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) — 13, „რადიოტეხნიკი“ — 12, „ლოკომოტივი“ — 9, „პოლიტეხნიკი“ — 8.

● **ᲪᲣᲠᲕᲐ**

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ...

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 24 თებერვალი. დღეს აქ დამთავრებულ სსრ კავშირის ჩემპიონატში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 3.51,20. ქალთა შორის ამ სახეობაში ოქროს მედალი, უკვე მესამედ, მოიგო მისმა თანაგუნდელმა ი. აქსიონოვამ — 4.16,88.

ამ შეჯიბრებაში მესამე ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ო. კლევაკინამაც. იგი ამჯერად საუკეთესო იყო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.20,14. ამ სახეობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ჟდანოველმა ა. სიდორენკომ, რომელმაც ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა— 2.03,46.

● **ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ**

ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲭᲔᲠᲥᲕᲔᲨ

ᲡᲐᲜ-ᲓᲘᲔᲒᲝᲡ (კალიფორნია) დარბაზში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე რამდენიმე მიღწევა გაუმჯობესდა. მსოფლიოს თასის გათამაშებაში სიგრძეზე მხტომელთა შორის გამარჯვებულმა, 23 წლის ლ. მირიქსმა (აშშ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 837 სმ, კენიელმა მ. ბოიტმა 880 იარდზე რბენაში გაიმეორა მსოფლიო რეკორდი— 1.47,9. ასეთი შედეგი პირველად 11 წლის წინ აჩვენა ავსტრალიელმა რ. დაუბელმა.

ქალთა შორის ამავე დისტანციაზე 21 წლის ამერიკელმა მ. დეკერმა პირველმა „დაახურდავა“ 2 წუთი — 1.59,7. 800-მეტრიან მონაკვეთზე მისი შედეგი — 1.58,9—0,5 წამით ჩამორჩება ამას წინათ ა. ვახრუშჩევას მიერ დამყარებულ მსოფლიო მიღწევას.

ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

● **ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ**

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ᲠᲘᲒᲘᲡ კალათბურთელ ქალთა გუნდმა—ტტტ-მ კვლავ დაამტკიცა, რომ მას ბადალი არ ჰყავს საკავშირო ასპარეზზე: ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტურით ადრე გუნდმა კვლავ პირველი ადგილი გაიანღდა.

● **ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ**

ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲨᲘ დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მეოთხე ტური. მან მოასპარეზე 12 კოლექტივიდან უნდა გამოავლინოს ექვსი გუნდი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

კარგად დაიწყეს ტური თბილისელმა სტუდენტებმა — მოუგეს ლვოველ არმიელებს — 30:26. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ტაშკენტეცი“—32:29, ფილკ — ზიი (ზაპოროჟიე) — 21:20, „კუნცევო“ (მოსკოვი) — ასკ (მინსკი) — 20:15, „გრანიტასი“ (კაუნასი) — ასკ (კიევი) — 36:26, ცსკა — „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — 37:30.

● **ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ**

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ კუბის XV მრავალდღიანი ველოსრბოლა. 4 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არის საბჭოთა კავშირის ნაკრები — 29:29.46. მას 4.16-ით ჩამორჩება გდრ-ის I გუნდი, რომელიც II ადგილზეა. პირად პირველობაში ლიდერობს მასპინძელთა გუნდის წევრი ა. არენსბია.

ფეხბურთი ●

თბილისის ზონაში

სსრ კავშირის თასი

ხვალ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე სტარტს აიღებს სსრ კავშირის 1980 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში.

გთავაზობთ თბილისის ზონაში მოასპარეზე გუნდების შეხვედრათა კალენდარს:

27 თებერვალი

„დინამო“ (თბილისი) — სკა (ხაბაროვსკი). ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონი; „კაირატი“ (ალმა-ათა) — სკა (ოდესა). რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონი; **„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე).** თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი.

1 მარტი

სკა (ხაბაროვსკი) — „სპარტაკი“. „მეტალურგის“ სტადიონი; **სკა (ოდესა) — „ტორპედო“.** „ლოკომოტივის“ სტადიონი; **„დინამო“ — „კაირატი“.** „დინამოს“ სტადიონი.

4 მარტი

„კაირატი“ — სკა (ხაბაროვსკი). „ლოკომოტივის“ სტადიონი; **„ტორპედო“ — „დინამო“.** „დინამოს“ სტადიონი; „სპარტაკი“ — სკა (ოდესა). „მეტალურგის“ სტადიონი.

7 მარტი

სკა (ხაბაროვსკი) — სკა (ოდესა). დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონი; **„დინამო“ — „სპარტაკი“.** „დინამოს“ სტადიონი; „კაირატი“ — „ტორპედო“. „მეტალურგის“ სტადიონი.

10 მარტი

„ტორპედო“ — სკა (ხაბაროვსკი). „მეტალურგის“ სტადიონი; „სპარტაკი“ — „კაირატი“. დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონი; **„დინამო“ — სკა (ოდესა).** „დინამოს“ სტადიონი.

უველა შეხვედრა 16 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

შენიშვნა: ცუდი ამინდის შემთხვევაში „დინამოს“ სტადიონზე დანიშნული თამაშები გადატანილი იქნება „ლოკომოტივის“ სტადიონზე, ხოლო „ლოკომოტივის“ სტადიონზე დანიშნული თამაშები —დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე.

„გურია“ ემზადება

კარს მოგვადგა ახალი საფეხბურთო სეზონი: უკვე ხვალიდან იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშების I ეტაპი, მალე კი ჩვენი ქვეყნის ქალაქებში აღიმართება ჩემპიონატის ალმები. ამ დღეს მოუთმენლად ელიან ლანჩხუთელი გულშემატკივრებიც: წლეულს ხომ „გურია“ პირველ ლიგაში იასპარეზებს.

წინასწარი მოსამზადებელი შეკრება „გურიას“ ჰქონდა ქ. ოჩამჩირეში. გუნდს საწვრთნელ ბაზაზე ეწვია ჩვენი კორესპონდენტი **ა. ორმოცაძე,** რომელმაც რამდენიმე შეკითხვით მიმართა „გურიის“ ხელმძღვანელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **შ. კაკაბაძეს:**

⊙ გულშემატკივრებს აინტერესებთ, რა ცვლილებებია გუნდში?

— ცვლილებები საკმარისადაა. გუნდიდან სხვადასხვა მიზეზით წავიდა რამდენიმე ფეხბურთელი, მივიღეთ ახალი შევსება: ბოლქვაძე — თბილისის „დინამოდან“, გაბიჩვაძე და ფოფხაძე — ქუთაისის „ტორპედოდან“, თუთბერიძე — ზუგდიდის „დინამოდან“, არქანია — თბილისის „ავაზადან“, შელია — ბათუმიდან, ვაპირებთ, ავრეთვე, რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელის აყვანას.

⊙ რა უახლოესი გეგმები გაქვთ დასახული?

— გუნდის თითოეულ წევრს შეგნებული აქვს წლევანდელი ჩემპიონატის უდიდესი მნიშვნელობა, ამიტომაც ყველა მონდომებით ემზადება. ქ. ოჩამჩირიდან გავემგზავრებით დუშანბეში, სადაც 27 თებერვლიდან 10 მარტამდე მონაწილეობას მივიღებთ სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ ეტაპში, შემდეგ ისევ საწვრთნელ შეკრებას გავივლით და მარტის ბოლო რიცხვებში ჩემპიონატიც დაიწყება.

⊙ წლეულს „გურია“ მეხაჰედ ასპარეზობს თასის გათამაშებაში...

— დიახ, მესამედ. ამჯერად დუშანბეს ზონაში ჩვენთან ერთად არიან ცსკა, აშხაბადის „კოლხოზჩი“, „პამირი“, როსტოვის ასკ, სვერდლოვსკის „ურალმაში“. დებულებით I-II ადგილებზე გასული გუნდები გააგრძელებენ თასისთვის ბრძოლას. როგორც ხედავთ, მეტოქეები საკმაოდ ძლიერი გვყავს, ამიტომ, ვფიქრობთ, შემდგომ ეტაპზე გამოსვლისთვის ცხარე, დაძაბული ბრძოლები გველის.

⊙ რა შედეგს ისახავთ წლევანდელ ჩემპიონატში?

— გვინდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი გადასვლა პირველ ლიგაში შემთხვევითი არ იყო. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაყურებელს ვუჩვენოთ საინტერესო, ლამაზი ფეხბურთი.

* * *

გურიის“ ფეხბურთელებმა ამხანაგური მატჩი ჩაატარეს აშხაბადის„კოლხოზჩისთან“ და ფრედ დაამთავრეს იგი — 1:1. ლანჩხუთელთაგან ბურთი გაიტანა კირთაძემ.

ამის შემდეგ „გურიამ“ დაამარცხა გალის „მზიური“ — 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს მეგრელაძემ, ჩხაიძემ და კირთაძემ. ლანჩხუთელთა შემადგენლობა ასეთი იყო: მაყაშვილი, ფოფხაძე, თუთბერიძე, მამედოვი, კვაჭანტირაძე, სევასტოპულო, შელია, ბოლქვაძე, ჩხაიძე, გაბიჩვაძე (მეგრელაძე), კირთაძე.

გასულ კვირას რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონის თოვლით დაფარულ მინდორზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „მეტალურგსა“ და ოდესის არმიის სპორტკლუბის გუნდს შორის.

ანგარიში თამაშის მეორე ნახევარში გახსნა ოდესელმა ყარკოვმა, მაგრამ მცირე ხანში აშაძემ საპასუხო გოლი გაიტანა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

რ. გაბრიჭიძის ტექსტი და ფოტო.

● თავისუფალი ჭიდაობა

სამი პრიზიორი

ბრესტში გაიმართა გამოჩენილი საბჭოთა ფალავნის, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის ა. მედვედის სახელობის XI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, უნგრეთის, ალჟირის, სსრ კავშირისა და ბელორუსიის ნაკრები გუნდები.

აღსანიშნავია, რომ ასპარეზობა ახალი წესებით ჩატარდა: წინასწარი ორთაბრძოლები 6 წუთს გრძელდებოდა შესვენების გარეშე, ფინალი კი 9-წუთიანი იყო (ორი შესვენებით). ნავარაუდევია, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების შემდეგ შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში ამ წესებით გაიმართება.

ამ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკა ახალგაზრდა მოჭიდავეებით იყო წარმოდგენილი. სამმა მათგანმა მედალი დაიმსახურა. II ადგილები დაიკავეს დ. გიგაურმა (68 კგ) და თ. საჯაიამ (82), ხოლო მძიმეწონისანი ჯ. ტარიელაძე III ადგილზე გავიდა.

მ. ოსიყმაშვილი,
საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი საქართველოში.

● შაში

დედაქალაქის ჩემპიონატზე

დედაქალაქის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა თბილისის ჩემპიონატი ქალთა შორის რუსულ შაშში.

13 მონაწილეს შორის გაიმარჯვა თბილისის ჩემპიონმა გოგონათა შორის, 160-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა ნატო აგლაძემ — 9 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ე. შვედოვამ და პირველთანრიგოსანმა მ. ბაქრაძემ — 8-8. სამივე მოშაშე მონაწილეობას მიიღებს ქალთა რესპუბლიკურ პირველობაში, რომელიც მარტში აიღებს სტარტს ქ. რუსთავში.

გამარჯვებულებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩემპიონიც და მე-100 სკოლის მოსწავლე მარიკა ბაქრაძეც შაშის საიდუმლოებას ეუფლებიან თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში, სადაც ნაყოფიერად შრომობს მათი მწვრთნელი ახალგაზრდა სპორტის ოსტატი რ. ქერდიყოშვილი.

ზ. სვანიშვილი,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი.

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

ე. ჰაიდენის ორი რეკორდი ერთ გარბენში

მოციგურავე ვაჟთა შეჯიბრებას 10000 მეტრზე ბევრი ფავორიტი ჰყავდა. რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირად ამ თამაშების 4 ოქროს მედლის მფლობელის ამერიკელი ე. ჰაიდენის „აქციები“ ფასობდა. მაგრამ სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ მას უშეღავათო ბრძოლას გაუმართავდნენ ნორვეგიელები ოკსჰოლმი და ტვეტერი, ჰოლანდიელი კლეინი... მართლაც, ბრძოლის მსვლელობამ დაადასტურა, რომ ფავორიტები საბრძოლოდ იყვნენ განწყობილნი.

6000 მაყურებლის თვალწინ ზედიზედ ემხობოდა ეროვნული რეკორდები. მერე ჰაიდენისა და მსოფლიო რეკორსმენის ვ. ლესკინის (სსრკ) რიგიც დადგა.

ლესკინი დაწინაურდა. იგი მეტოქეს თანდათან ასწრებდა და უკვე 3 კილომეტრის შემდეგ მოწინააღმდეგე 2 ათეული მეტრით ჩამოიტოვა. შუა დისტანციიდან იჩინა თავი ჰაიდენის შესანიშნავმა ფიზიკურმა მომზადებამ. საბოლოოდ ამერიკელმა 10 კილომეტრის გარბენას 14 წუთი და 28,13 წამი მოანდომა. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. ამრიგად, ჰაიდენმა მეხუთე ოლიმპიური „ოქრო“ მოიპოვა. საციგურაო სპორტში ოლიმპიადების ისტორიაში ეს არის უნიკალური შედეგი. „ვერცხლი“ მიიღო **პ. კლეინემ** — 14.36,03, „ბრინჯაო“ — **ტ.-ე. ოკსჰოლმმა** — 14.36,6.

რისკის საფასური

ვან ჰოვენგერგმა უკანასკნელი ოლიმპიელებიც გაისტუმრა. აქაურ 90-მეტრიან ტრამპლინზე გამართულმა ასპარეზობამ „მფრინავ მოთხილამურეთა“ 4-წლიანი მზადების შედეგები შეაჯამა. ვიდრე პრიზიორებზე ვიტყოდეთ, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენები უხეიროდ გამოვიდნენ, ისე, როგორც არასდროს: ლენინგრადელმა ვ. ვლასოვმა 28-ე ადგილი დაიკავა (205,3 ქულა, ნახტომები — 97 და 96,5 მ), პეტროზავოდსკელმა ი. ივანოვმა — 34-ე (197,0; 97 და 92 მ), გორკელმა ა. ბოროვიტინმა — 36-ე (193,4; 91,5 და 96 მ), ხოლო ლენინგრადელმა ა. შაკიროვმა — 39-ე (187,0; 96,0 და 90 მ).

რაც შეეხება ლიდერებს, ამ ტრამპლინზე აშკარა იყო ფინელების და ავსტრიელების უპირატესობა. ექვსეულში ფინელებმა I და III ადგილები დაიკავეს, ხოლო ავსტრიელებმა — II, IV და V. **ჩემპიონი** გახდა **ი. ტიორმანენი,** რომელმაც უმაღლესი ჯილდო რისკის საფასურად მიიღო— 114,5 და 117 მეტრი „იფრინა“. მსაჯებმა მას უმაღლესი შეფასებაც მისცეს, ამიტომაც ორი ნახტომის ჯამში 271 ქულა დაუგროვდა. ავსტრიელი **ჰ. ნოიპერი** მას 4 მეტრით ჩამორჩა — 262,4 (113 და 114,5 მ). მეორე ფინელმა **ი. პუიკონენმა** თამაშების ჩემპიონს 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში, ავსტრიელ ა. ინაურს 2 მეტრი მოუგო, რისთვისაც 2,8 ქულით მეტი დაიმსახურა და ბრინჯაოსაც დაეუფლა.

თამაშების ტაბლო

სათხილამურო რბოლა. 50 კმ. ვაჟები. ნ. ზიმიატოვი (სსრკ) — 2:27.24,6, ი. მიეტო (ფინეთი) — 2:30.20,52, ა. ზავიალოვი (სსრკ) — 2:30.51,52, ლ.-ე. ერიკსენი (ნორვეგია) — 2:30.53,08, ხ. ხაველიევი 2:31.15,82, ე. ბელიაევი (ორივე — სსრკ) — 2:31.21,19.

სლალომი. ქალები. ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) — 1.25,09, კ. კინსჰოფერი (გფრ) — 1.26,5, ე. ჰეხი (შვეიცარია) — 1.27,89, ნ. კუარიო — 1.27,92, კ. ჭორდანი (ორივე — იტალია) — 1.29,12, ნ. ანდრეევა (სსრკ) — 1.29,20.

ციგურებით რბენა, 10000 მ. ვაჟები. ე. ჰაიდენი (აშშ) — 14.28,13, (მსოფლიო რეკორდი), პ. კლეინე (ჰოლანდია)—14.36,03, (ეროვნული რეკორდი), ტ.-ე. ოკსჰოლმი (ნორვეგია) — 14.36,6 (ეროვნული რეკორდი), მ. ვუდხი (აშშ) — 14.39,53, ე. ტვეტერი (ნორვეგია) — 14.43,53, ჰ. ვანდერ დიუმი (ჰოლანდია) — 14.47,58, ვ. ლესკინი—14.51,72... 10. ხ. ბერეზინი — 15.04,68... 16. დ. ოგლობლინი (უველა — სსრკ) — 15.20,14.

90 მ. ტრამპლინიდან ხტომა. ი. ტიორმანენი (ფინეთი) — 271,0 ქულა (ნახტომები — 114,5 და 117 მ.), ჰ. ნოიპერი (ავსტრია) — 262,4 (113 და 114,5 მ), ი. პუიკონენი (ფინეთი) — 248,5 (110,5 და 108,5 მ), ა. ინაუერი — 245,7 (110 და 107 მ), ა. კოგლერი (ორივე — ავსტრია) — 245,6 (110 და 108 მ), რ. რუდი (ნორვეგია) — 243,0 (110 და 109 მ)... 28. ვ. ვლასოვი — 205,3 (97 და 96,5 მ)... 34. ი. ივანოვი — 197,0 (97 და 92 მ)... 36. ა. ბოროვიტინი — 193,4 (91,5 და 96 მ)... 39. ა. შაკიროვი (უველა — სსრკ) — 187,0 (96,5 და 90 მ).

ერთეულ ქალთა ფიგურული სრიალი. ა. პოტჩი (გდრ) — 189,0 (ადგილების ჯამი — 11), ლ. ფრატიანი (აშშ) — 188,30 (16), დ. ლურეი (გფრ) — 183,04 (28), დ. ბილმანი (შვეიცარია) — 180,06 (43), ლ.-მ. ალანი (აშშ) — 179,42 (45), ე. ვატანაბე (იაპონია) — 179,04 (48)... 16. კ. ივანოვა (სსრკ).

ბიატლონი. ესტაფეტა 4X7,5 კმ. სსრკ (ვ. ალიკინი, ა. ტიხონოვი, ვ. ბარნაშოვი, ა. ალიაბიევი) — 1:34.03,27, გდრ (მ. იუნგი, კ. ზიბერტი, ფ. ულრიხი, ე. რიოში) — 1:34.56,99, გფრ (ფ. ბერნეიტერი, ჰ. ესნერი, პ. ანგერერი, გ. ვინკლერი) — 1:37.30,26, ნორვეგია — 1:38.11,76, საფრანგეთი — 1:38.23,36, ავსტრია — 1:38.32,02.

რედაქტორი ა. გასილაია.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო და „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლის დირექცია აცხადებენ, რომ უფროსი და საშუალო ასაკის მშრომელთა საერთო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების მიზნით მძლეოსნობის სასახლესთან **პირველი მარტიდან იხსნება ჯანმრთელობის ჯგუფები.**

ჯგუფებში მეცადინეობა შეუძლიათ ორივე სქესის მოქალაქეებს. მეცადინეობა იწარმოებს დილის 9-დან 10 საათამდე და საღამოს 7-დან 8-საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება სასახლის დირექციაში.

მისამართი: წერეთლის პროსპექტი № 95-ა. ტელეფონი 34-70-09, 34-77-29, 34-77-09.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო, სასახლის დირექცია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 — უე 02079